პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 მაისი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 102 (10 021) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პრესტიჟული გამარჯვება

კახი კახიაშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა

ფორტ-ლოდერდეილი (ფლორიდას შტატი, აშშ). იუნიორ ძალოსანთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრები შედარებით წარუმატებლად გამოდის. ამიტომ 90 კგ წონითს კატეგორიაში ცხინვალელი ძალოსნის კახი კახიაშვილის გამარჯვებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მით უფრო, რომ მან ორჰიდის ჯამში საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა — 395 კგ.

ორმოცდაათიან და სამოციან წლებში ჩვენ გვყავდა რამდენიმე საერთაშორისო კლასის ძალოსანი, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ როგორც შინაურ ტურნირებში, ისე საერთაშორისო სარბიელზე. მათგან ორნი — რაფაელ ჩიმიშკიანი და დიტო შანიძე იყვნენ ოლიმპიური და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონები. შერე ჩვენს ძალოსნობაში გაჩნდა ერთგვარი ვაკუუმი — დეპრესიის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი. სწორედ ამის გამო კახი კახიაშვილის გამარჯვებას პრესტიჟული მნიშვნელობა აქვს და იგი გარკვეულ იმედებთან არის დაკავშირებული.

100 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი პოლონელმა დარიუშ ოსუხმა მოიპოვა — 382,5 კგ. ვერცხლის ჯილდო ხვდა დონეცკელ ოლეგ ლუკაშს — 375 კგ.

ვულოცავთ კახას და მის მწვრთნელს ივანე გრიჭუროვს ამ დიდ წარმატებას.

სურათზე: კახი კახიაშვილი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე

გფრ-ის ნაკრები — პრიზის მესამე მფლობელი

თბილისი 1989

თბილისი. ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი;

საქართველო — ბულგარეთი 11:10 (4:3, 2:3, 4:1, 1:3).

საქართველო: კერესელიძე, გიორგაძე, ბაღათურია, ბითაძე, ასათიანი, მაჭავარიანი, რამიშვილი; ხარებოვი, ტატიშვილი, კუტივაძე, მარგიევი, ჩოლარია.

ბულგარეთი: ვოლკოვი, დაგეროვი, ანდრეევი, მილენოვი, დენჩევი, გეორგიევი, კირილოვი, ბონევი, დანოვსიტი, ხუშკოვი, პეტროვი.

საქართველოს ნაკრებმა ბულგარელებთან შეხვედრამდე ოთხი მატჩი გამართა. აქედან გამომდინარე, ცხადია, ერთ ფრეს და სამ წაგებას გუნდის თავმოყვარეობაზე უნდა ემოქმედა.

ბულგარელებთან შეხვედრის პირველ პერიოდში მატჩის სადავეები ხელთ იგდეს მასპინძლებმა და ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს. შემდეგ ბულგარელებმა გამოიღეს ხელი და მათაც ასევე ზედიზედ გატანილი სამი ბურთით გაქვითეს ანგარიში. მეორე პერიოდში ტაბლოზე მეტწილად ფრეს აღმნიშვნელ ციფრებს ვხედავდით. მომდევნო პერიოდიდან მასპინძელთა უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა და ყველამ ირწმუნა, რომ ქართველი წყალბურთელები გამარჯვებას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ. ასეც მოხდა.

ამ შეხვედრაში მეტოქენი რიცხობრივ უპირატესობას ჩინებულად იყენებდნენ. მასპინძლებმა ექვსი აეთი შემთხვევიდან ექვსივე გამოიყენეს, სტუმრებმა — ათიდან ცხრა.

ისიც საინტერესოა, რომ ბურთები ორივე მხარის შვიდ-შვიდმა მოთამაშემ გაიტანა. მასპინძელთაგან ამ მხრივ თავი გამოიჩინეს რამიშვილმა (3), ბითაძემ, კუტივაძემ (2-2). ასათიანმა, ხარებოვმა, ბაღათურიამ და მაჭავარიანმა, სტუმართაგან — ანდრეევმა, გეორგიევმა, ხუშკოვმა (2-2), დაგეროვმა, ბონევმა, მილენოვმა და დენჩევმა.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა VII ადგილი დაიკავა. V ადგილისთვის ბრძოლაში საბერძნეთის ნაკრებმა აშშ-ს გუნდს სძლია 7:5.

ამ ტურნირების მუდმივი გამარჯვებული (ერთი გამონაკლისის გარდა), სსრ კავშირის პირველი ნაკრები ამჯერად მხოლოდ მესამე ადგილისთვის იბრძოდა. აქ მან უნგრეთის გუნდს მოუგო — 8:6.

გადამწყვეტ მატჩში ამ ტურნირების ისტორიაში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს სსრ კავშირის მეორე და გფრ-ის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს გერმანელმა წყალბურთელებმა — 7:6 (2:3, 1:2, 1:0, 3:1).

გფრ-ის წყალბურთელთაგან ბურთები გაიტანეს: ტომანეკმა (3), დეკერმა (2), ხუბერმა და კუშმა. მათ გარდა თამაშობდნენ: ვერნერი, გორტეტენ დრესლერი, ოტო, შეცე, ოსელმანი, შტერციტი, რაიმანი და იგორ დრესლერი.

საბჭოთა სპორტსმენთაგან მეტოქის კარი დალაშქრეს: კოვალენკომ, კონსტანტინოვმა (2-2), ბარანოვმა და პანკოვმა. მათ გარდა თამაშობდნენ: ვლადიმიროვი, სუსლოვი, ემაკოვი, პოტულნიცკი, ემუდსკი, კებალო, გოლუშკო, ბელოფასტივი.

ამრიგად, გფრ-ის გუნდი მესამე ნაკრებია (სსრ კავშირის პირველი და რუმინეთის გუნდების შემდეგ), რომელმაც საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზი მოიპოვა.

ამ ტურნირში ტრადიციისამებრ დაწესებული იყო საქართველოს გაზეთების პრიზები, რომლებიც თითოეული გუნდის საუკეთესო წყალბურთელს გადაეცა. „ლელოს“ პრიზი უნგრელმა ჟოტ პეტოვარიმ დაიმსახურა.

ტურნირში ყველაზე მეტი ბურთი (13) გაიტანა სსრ კავშირის პირველი ნაკრების წარმომადგენელმა დ. აფანასიევმა, რომელსაც სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვლადიმერ ისელიძის სახელობის სპეციალური პრიზი თავად ისელიძემ გადასცა.

ავთანდილ გურასაშვილი.

სურათებზე: სარბიელზე არიან სსრ კავშირის მეორე და გფრ-ის წყალბურთელთა ნაკრები გუნდების წევრები; „ლელოს“ პრიზის მფლობელი ჟოტ პეტოვარი; გფრ-ის ნაკრები, რომელმაც მთავარი პრიზი მოიპოვა.

გია ახალაძის და ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები.



რუსუდან ხოფერია გამარჯვებულთა შორის

ოდესა. ბატუტისტთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება მფრინავი-კოსმონავტის გიორგი დობროვოლსკის სახელობის პრიზზე უკვე მეჩვიდმეტედ ტარდება. წლევანდელ აპარეზობაში მონაწილეობდნენ ინგლისის, ბულგარეთის, დანიის, პოლონეთის, შვეიცარიის, შვეციის, შოტლანდიის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები, მათ შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები.

ინდივიდუალურ ხტომებში წარმატება მოიპოვეს: ვაჟებში — სერგეი ნესტრელიანმა (კიევი), ქალებში — ტატიანა ლუშინმა (ვორონეჟი).

სინქრონულ ხტომებში პირველი ადგილი დაიკავა რუსუდან ხოფერიასა და ელენა კოლომიეცის შერეულმა დუეტმა, აგრეთვე ალექსანდრე დანილჩენკოსა და ალექსანდრე მოსკალენკოს წყვილმა.

სურათზე: რუსუდან ხოფერია.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში ● უმაღლესი ლიგა



შაბათს, X ტურში, ქუთაისის „აიამ“ მოსკოვში სძლია იქაურ „სპარტაკს“ — 15:0. სტუმრად ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა თბილისის „ელმავალი“ — ამჯერად მას მოსკოვის „სლავამ“ მოუგო — 20:4. ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (მოკოვი) — „ავიატორი“ (კიევი) 13:6, „ფილი“ (მოსკოვი) — „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) 10:3, სსა (მონინო) — „ზვეზდა“ (ტაშკენტი) 33:22, ეტს (კრასნოიარსკი) — ასკ (ალმა-ათა) 20:12.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 მაისისთვის

	თ.	შ.	ს.	მ.	ფ.	წ.	ქ.
სსა	9	6	3	8	0	1	16
ეტს	10	5	5	7	0	3	14
„ლოკომოტივი“	10	5	5	7	0	3	14
„აია“	8	4	4	6	1	1	13
„ფილი“	9	4	5	5	2	2	12
„სლავა“	10	4	6	5	0	5	10
„ავიატორი“	10	5	5	4	1	5	9
„ელექტრომ.“	10	7	3	4	0	6	8
ასკ	9	4	5	3	0	6	6
„ელმავალი“	9	2	7	2	1	6	5
„ზვეზდა“	10	7	3	2	1	7	5
„სპარტაკი“	10	4	6	1	0	9	2

XI ტურში, 31 მაისს, საქართველოს გუნდები კვლავ სტუმრად იასპარეზებენ: „აია“ ეთამაშება ასკ-ს, „ელმავალი“ — „ავიატორს“.

ქმედითობა

„ვინ შეულოგელყოფს ქართულ ენას?“

28 მაისს „ლელოს“ ფურცლებზე ამ სათაურით გამოქვეყნდა რეპლიკა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე მაყურებელს რადიოთი და ელექტროტაბლოთი ინფორმაციას მხოლოდ რუსულ ენაზე აწვდიდნენ.

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში გამართულ ოპერატიულ-გეგმიურ თათბირზე აღინიშნა, რომ რეპლიკაში გამოთქმული გულისწყრომა სამართლიანია, ქართული ენის უგულებელყოფა ყოვლად დაუშვებელია და კონსტატაციური უფლება მკაცრად უნდა იქნეს დაცული. ითქვა ისიც, რომ იმავე დღეს სპეციალისტებს დაევალათ საწყლოსნო კომპლექსის ელექტროტაბლოზე აუცილებლად დააპროგრამონ ქართულენოვანი ინფორმაცია. დაისვა საკითხი საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარდეს სპორტის სახეობების მიხედვით ქართულ ენაზე მსჯ-ინფორმატორთა მოსამზადებელი მოკლევადიანი სემინარი. სემინარს გაუძღვებიან ფიზკულტურის სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტების, სპორტსახკომის შესაბამისი განყოფილებების, სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის წარმომადგენლები (განცხადება ამ საკითხზე „ლელოში“ ცალკე გამოქვეყნდება).

სპორტსახკომმა გამოსცა საგანგებო ბრძანება, რომელიც რეპუბლიკის ავტონომიური დანაყოფების, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, ცალკეული სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელებს ავალდებულებს ადგილებზე ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებაზე არ დაუშვან ქართული ენის უგულებელყოფა, ეს ეხება მსჯ-ინფორმატორის ინფორმაციას, აფიშებს, მოსაწვევ ბარათებს, ხარეკლამო სტენდებს და ა. შ.

დაჯილდოება

წყალბურთის განვითარების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით და სამახსოვრო ოქროს მედლით დააჯილდოვა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **გივი პეტრეს ძე ჩიქვანაია.**

„დინამო“ — 9 აპრილის ფონდს

გუშინ თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა ო. წეროძემ გვაცნობა: 3 მაისს დონეცკის „შახტიორთან“ მატჩის შემოსავალი — 22.350 მანეთი, „დინამოს“ საფეხბურთო კლუბმა მთლიანად გადარიცხა თბილისში 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის ასაგებ ფონდში.

და... გურამ მუმლაძე

მოსკოვი. მაისი. ბილიარდში მოსკოვის პირველი ღია ჩემპიონატი — ასეთია ისტორიის თავფურცელი. კიეველი ვალენტინ ვოსოვსკი პირველი ჩემპიონია, მან ფინალში ელექტროსტალელი იური სოსნინი დაამარცხა. მესამე პრიზიორია გურამ მუმლაძე (სოჭი).

ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

ფრენბურთი

საათანრიგო მოთხოვნები ვაჟები და ქალები

სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

მონაწილეობდეს: ოლიმპიურ თამაშებში ან მსოფლიო პირველობებზე I-II ადგილებზე გასული სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში;

ევროპის ჩემპიონატსა და მსოფლიო თასზე I-II ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში;

I ადგილზე გასულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს უძლიერესთა ექვსეულის (ბოლო მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების მიხედვით) სულ მცირე 3 საზღვარგარეთის ეროვნული გუნდი;

საკლუბო გუნდში, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასზე ან ევროპის თასების მფლობელთა, ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის თასზე მოიპოვა I ადგილი;

მსოფლიო სტუდენტთა თამაშებში I ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებში;

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

მონაწილეობდეს: საერთაშორისო შეხვედრებში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში;

ევროპის იუნიორთა (გოგოები) 19 წლამდე ჩემპიონატში I ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში;

მსოფლიოს იუნიორთა (გოგოები) 20 წლამდე ჩემპიონატში I-II ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში;

მეგობრული არმიების, „დინამოსა“ და რკინიგზელთა საერთაშორისო კავშირის შეჯიბრებებში I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე I-VI ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში I-VII ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის პირველი ლიგის პირველობაში I-III ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის თასზე I-II ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში; უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო პირველობაზე I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში;



საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საკავშირო თასის გათამაშებაში I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც წლის განმავლობაში 2/3 სპორტის ოსტატთაგან შემდგარ გუნდებთან მოიპოვა 8 გამარჯვება, მათ შორის 5 სსრ კავშირის ჩემპიონატში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადასა და სსრ კავშირის თასზე და 3 მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის საუწყებო ორგანიზაციათა ცენტრალური საბჭოებისა და პროფავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე;

სპორტის ოსტატობის კანდიდატი

მონაწილეობდეს: უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის გუნდის შემადგენლობაში;

I ლიგის საკავშირო პირველობაზე IV-VIII ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში II-III ადგილებზე გასული მოკავშირე რესპუბლიკების გუნდების შემადგენლობაში;

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ცენტრალური საბჭოების ჩემპიონატებში I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

იუნიორთა და გოგოების საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში;

სოციალისტური ქვეყნების მოზარდ სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრებაში I ადგილზე გასული სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

შევიდეს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის 15 უძლიერეს მოთამაშეს შორის;

I თანრიგი

მონაწილეობდეს: სსრ კავშირის I ლიგის პირველობის გუნდის შემადგენლობაში;

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ჩემპიონატებში II-V ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

არა უმცირეს 3 I თანრიგოსან და 6 II თანრიგოსან გუნდების მონაწილეობით სამხარეო, ასსრ, საოლქო და საქალაქო ჩემპიონატებში მოიპოვოს სულ ცოტა 3 გამარჯვება.

უფროსი ასაკის (18 წლამდე) მოზრდილთა ან მოზარდთა საკავშირო თამაშებში I-VI ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც წლის განმავლობაში არა უმცირეს საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაზე I თანრიგოსანთა სხვადასხვა გუნდთან მოიპოვა 6 გამარჯვება ან 3 გამარჯვება I თანრიგოსნებთან და 6 — II თანრიგოსნებთან.

II თანრიგი

მონაწილეობდეს: გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებებში II თანრიგოსანთა სხვადასხვა გუნდთან მოიპოვა 4 გამარჯვება ან 8 გამარჯვება III თანრიგოსნებთან 14 შეხვედრაში.

უმაღლესი ასაკის მოზარდთა (18 წლამდე) საკავშირო შეჯიბრებებში ან საკავშირო მოზარდთა სპორტულ თამაშებში IV-VI ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

III თანრიგი

მონაწილეობდეს: ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში, სულ ცოტა 8 გამარჯვება;

წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის 25 შეხვედრაში;

მოზარდთა I თანრიგი

მონაწილეობდეს:

უფროსი ასაკის (18 წლამდე) გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც დაიკავა I-X ადგილები, საშუალო ასაკში (16 წლამდე) დაიკავა I-III ადგილები მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის პირველობებში;

I ადგილი ქალაქის პირველობაზე მოზრდილთა I თანრიგის 2, მოზარდთა II თანრიგის 4 გუნდის მონაწილეობით—ერთობით.

საშუალო ან უფროსი ასაკის გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში მოიპოვა სულ ცოტა 16 შეხვედრაში მოზარდთა I თანრიგოსან გუნდებთან 4 ან მოზარდთა II თანრიგოსნებთან 8 გამარჯვება.

მოზარდთა II თანრიგი

მონაწილეობდეს: მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის პირველობებზე საშუალო ასაკის გუნდებში IV-X ადგილებზე ან უმცროსი ასაკის (14 წლამდე) გუნდებში I-III ადგილებზე გასული გუნდების შემადგენლობაში;

წლის განმავლობაში უფროსი ან საშუალო ასაკის გუნდების ნებისმიერ შეჯიბრებაში 16 შეხვედრაში მოიპოვოს მოზარდთა II თანრიგოსან სხვადასხვა გუნდთან 8 გამარჯვება.

გუნდში ნებისმიერი მასშტაბის პირველობის 15 შეხვედრაში სულ ცოტა 18 გამარჯვება მოიპოვოს.

მოზარდთა III თანრიგი

მონაწილეობდეს: გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც მოკავშირე რესპუბლიკების და მოსკოვის, ლენინგრადის უმცროსი ასაკის პირველობაში დაიკავა IV-X ადგილი.

გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც წლის განმავლობაში გამართა სულ ცოტა 15 შეხვედრა;

საათანრიგო მოთხოვნათა შესრულების პირობები

საათანრიგო მოთხოვნები შესრულებულად ითვლება თუ მოცემულ შეჯიბრების კალენდრით მონაწილემ სულ ცოტა 50% ითამაშა. მოთამაშე სულ ცოტა გათამაშებული ქულების (ბურთების) 25% უნდა მონაწილეობდეს.

გუნდს თანრიგს ანიჭებს შეხვედრის მსაჯი. გუნდის 2/3 ამ თანრიგის მოთამაშეებისგან უნდა შედგებოდეს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 84, 86, 92, 95.

ცვლილებები საქმის სასიკეთოდ

რესპუბლიკური შეჯიბრებები, განსაკუთრებით ჭაბუკთა შორის, დიდი ხანია შაბლონის ჩარჩოებშია მოქცეული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მასში რაიმე შესწორების შეტანა შეუძლებელია. არადა, ყველა შეჯიბრებას, თუკი ამის სურვილია, შეიძლება ორგანიზატორები შემოქმედებითად მიუდგნენ. შევეცდებით ერთი კონკრეტული ასპარეზობის მაგალითზე ავხსნათ, რომ ზოგჯერ ასეთი ჩარევა არა მხოლოდ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა.

საქმე ეხება ჭაბუკ ცხენოსანთა რესპუბლიკურ პირველობას, რომელიც ახლახანს ოჩამჩირეში გაიმართა. ამთავითვე ვიტყვით, რომ მოზარდ ცხენოსანთა პრობლემა ყოველთვის იდგა დღის წესრიგში ჩვენს რესპუბლიკაში. ჯერ ერთი — ძალზე მცირეა ბავშვთა სასწავლო ჯგუფები (არც მწვრთნელებია საკმარისი, არც სასწავლო ცხენები გვყოფნის) და, მეორე — ზოგიერთ რაიონში მხედარია კარგი, ზოგან მერანი. უწყებრივი და კუთხური ინტერესების შეუვალობას კი მხოლოდ ზიანი მოჰქონდა საქმისთვის. თუმცა უნდა ითქვას: მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ (მაშინდელი მინისტრის ო. ქინქლაძის ინიციატივით) თბილისში ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლა გახსნა, სპორტის ამ სახეობაში ბევრი პერსპექტიული ჭაბუკი გამოჩნდა.

ოჩამჩირეში გამართულ ზემოხსენებულ პირველობაში ბევრი საინტერესო სიახლე ვიხილეთ, რაშიაც დიდია საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელის რ. მანჯავიძის წვლილი. ამ შეჯიბრებაში თითქმის გამორიცხა უწყებრივი და კუთხური ინტერესები. პრინციპი — საუკეთესო მერნებზე—საუკეთესო მხედრები, ყველაზე უკეთ პრაქტიკულად ამჟამად გამოიკვეთა. მხედარი ჩათვლას იმ რაიონსაც აძლევდა, ვისი ცხენითაც ასპარეზობდა. და კიდევ: თითოეულ გუნდს დაამატეს ახალგაზრდებიც, რესპუბლიკის ნაკრების წევრები, რომლებიც საკავშირო თამაშებისთვის ემზადებიან. ამით ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ მიეცათ ძალების შემოწმებისა და საშეჯიბრო გამოცდილების შეძენის შესაძლებლობა.

ი. ყურუა.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, სოხუმის, გაგრის, გალის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ზუგდიდის, ფოთის, მახარაძის, წალენჯიხის და ცხაკაიას წარმომადგენლები.

2+3 ᲙᲕᲘᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘ

გახსნის პრიზი. 1. რაზმირ ლაგვილავა (ზუგდიდი), 2. რომან კეშელავა (სოხუმი), 3. ალბერტ საკიანი (ოჩამჩირე).

სამეიდი. 1. ივანე ყურუა (თბილისი, ოჩამჩირე), 2. თენგიზ ჯორსანია (ოჩამჩირე), 3. ვიქტორ გუდარინი (გაგრა).

ცხენის გაწვრთნა. საშუალო პრიზი №1. 1. ირინა კოზინა, 2. გელა სურგულაძე (ორივე თბილისი), 3. ირინა კოზინა (მეორე ცხენთან). საშუალო პრიზი №2. 1. კოზინა (გალი, თბილისი), 2. სურგულაძე, 3. კოზინა (მეორე ცხენთან), **გუნდური:** 1. თბილისი, 2. ფოთი, 3. ზუგდიდი.

ესტაფეტა: 1. პირადი. გაშიბაიაზოვი — ჭელიძე (თბილისი), 2. გუჯეჯიანი — ლაგვილავა (ზუგდიდი), 3. კუტუბიძე — კეშელავა (მახარაძე, სოხუმი).

გუნდური: 1. თბილისი (დიმიტრი გაშიბაიაზოვი, ალექსანდრე ჭელიძე, ვამეხ გაჩეჩილაძე, მამუკა რევიშვილი). 2. ფოთი, 3. ზუგდიდი.

დაბრკოლებათა გადალახვა. საქართველოს თასი. 1. კეშელავა, 2. მერაბ სამუშია (ოჩამჩირე), 3. ვიქტორ სიდელნიკოვი (გაგრა), გუნდური. 1. თბილისი (გაჩეჩილაძე, რევიშვილი, ალექსანდრე ჭელიძე), 2. გულრიფში, 3. გაგრა.

საერთო გუნდური შედეგები: 1. ოჩამჩირე — 353,4 ქულა, 2. თბილისი — 292,66, 3. გულრიფში — 195.

„ლელოს“ სპეც. კორ.

ოჩამჩირე.

ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲣᲠᲕᲐ

ახალგაზდებს ბრძოლაში ცდიან

უკვე მივეჩვიეთ, რომ საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატები სხვადასხვა რანგის საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებშიც საპრიზო ადგილებს იკავებენ. ამიტომ ერთობ გაგვიკვირდა, როცა მინსკში გამართულ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე, რომელშიც 1972 წელსა და შემდეგ დაბადებული გოგონები მონაწილეობდნენ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა საპრიზო ადგილები ვერ მოიპოვეს.

ეს შეჯიბრება თბილისში უნდა გამართულიყო, მაგრამ 9 აპრილის ამბების შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო, ასპარეზობა მინსკში გადაიტანეს.

მინსკში ათამდე გუნდის წარმომადგენელმა მოიყარა თავი. საქართველოს ნაკრები ძირითადად ახალბედა სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. გუნდის ოთხი წევრი ასეთი რანგის შეჯიბრებაში, საერთოდ პირველად გამოდიოდა სარბიელზე, ბუნებრივია, მათგან მაღალ შედეგებს არავინ ელოდა. ჩვენი გუნდის შედარებით ყველაზე გამოცდილმა წევრმა, ქუთაისელმა მანანა ჩანქსელიანმა, ერთეულთა თანრიგში ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა და აქ მერვე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ფინალში ჩანქსელიანისა და რსფსრ-ის წარმომადგენელ ბელოგლაზოვას გარდა მხოლოდ მოსკოველებმა შეაღწიეს.

წყვილთა ასპარეზობაში ასევე მერვე ადგილზე გავიდა თბილისელი ეკა აათიანისა და ტატიანა გუტიაკულოვას „დუეტი“. ამ სახეობის ფინალში მოსკოველთა მშვიდი ცხოვრების დარღვევა მხოლოდ ჩვენმა სპორტსმენებმა შეძლეს.

საქართველოს ნაკრების მთავარი ამოცანა ამ ასპარეზობაში ჯგუფურ შეჯიბრებაში კარგად გამოსვლა იყო და განაკუთრებული მოწდომებით სწორედ ამ სახეობაში ემზადებოდნენ.

საქმე ისაა, რომ საქართველოს პირველი ნაკრების სამი წევრი, რომლებიც ჯგუფურ ასპარეზობებშიც წარმატებით გამოდიოდნენ, აქტიურ სპორტს ჩამოშორდნენ. ამდენად, მწვრთნელები ახლა ახალბედებს, როგორც იტყვიან, ბრძოლაში ცდიან.

თბილისელები მინსკში, ამ სახეობაში, მოსკოველთა პირველი და მეორე ჯგუფის შემდეგ მესამე ადგილის დაკავებაზე ოცნებობდნენ, მაგრამ ჩვენს გოგონებს (ჩანქსელიანი, ასათიანი, გუტიაკულოვა, მაია მელაძე, ნანა ლომოური, ირინა ტარუაშვილი, ტატიანა მენაბდე, ლიკა მიქელაძე) მცირე უპირატესობით რსფსრ-ის წარმომადგენლებმა აჯობეს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯგუფურ ასპარეზობაში ჩვენი გოგონები ამ შემადგენლობით პირველად გამოდიოდნენ, მეოთხე ადგილი კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

იგივე უნდა ითქვას გუნდურ პირველობაში დაკავებულ მეოთხე ადგილზე.

აქ უძლიერესის სახელი მოსკოვის პირველმა გუნდმა მოიპოვა. მეორე იყო ასევე მოსკოველთა მეორე გუნდი, ხოლო მესამე — რსფსრ-ის ნაკრები.

ასე რომ, საერთო ჯამში ჩვენმა სპორტსმენებმა მოსკოველთა და რსფსრ-ის წარმომადგენელთა შემდეგ მესამე შედეგი აჩვენეს.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲭᲣᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I ლიგა

28 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XII ტურის შეხვედრები.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 3:1 (1:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 28 მაისი.

„ტორპედო“: ჭორიძე (ჩხაიძე), პაპავა, ბაკურაძე, ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, მახარაძე (შავდათუაშვილი), გაბისკირია, მეგრელაძე, დარასელია, ხარაბაძე (მარეხაშვილი).

„კაირატი“: ბურაკოვი, ტიმოფეევი (ფადეიკინი), პასკო, ნეიშტეტერი, ოლგინი, ბოგატირიოვი, უიდკოვი (კლიმოვი), ხალიმოვი, ნაიდოვსკი, მასუდოვი, მიხელი.

მსაჯი ს. ანიჩკინი (მოსკოვი).

ქუთაისის ტორპედოელებს ბოლო ორი შეხვედრა საკუთარ მინდორზე ლიგის საუკეთესო გუნდებთან და ლიდერებთან ჰქონდათ, გუნდმა ორივე მატჩი მონდომებით, მაღალ დონეზე წარმართა და ქულათა მაქსიმუმი აიღო. ეს წარმატება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტორპედოელებმა თავი დააღწიეს სასტარტო შეხვედრათა წარუმატებლობას, საბრძოლო ფორმაში ჩადგნენ და უკვე კარგი პერსპექტივით ებრძვიან ლიგის ძლიერ მეტოქეებს.

დაიწყო თამაში და უკვე პირველივე წუთებზე გამოიკვეთა ქუთაისელთა მნიშვნელოვანი უპირატესობა. ისინი სწრაფად, ტემპიანად უტევდნენ და „კაირატის“ მეკარე ბურაკოვს ზედიზედ მოუხდა რამდენიმე მეტად ძნელი ბურთის მოგერიება.

შემდგომში სტუმრებმა რამდენადმე გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ 35-ე წუთზე მეგრელაძემ კარგად ითამაშა, თავით დაუგდო ბურთი მახარაძეს და ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით მეტად ეფექტური გოლი გაიტანა —1:0.

აქტიურად მოქმედებდა „ტორპედო“ მეორე ტაიმშიც. 58-ე წუთზე ბაკურაძემ ზუსტად გამოზომული ტრაექტორიით თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი ბურაკოვს, 82-ე წუთზე კი შავდათუაშვილმა ასეთივე ოსტატური დარტყმით ანგარიში 3:0-ამდე აიყვანა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ალმაათელებმა რამდენიმე კონტრშეტევის განხორციელება და ერთ-ერთი მათგანი საპასუხო გოლით დაამთავრა ნაიდოვსკიმ.

ქუთაისის „ტორპედომ“ კარგი თამაში აჩვენა თავის გულშემატკივარს და დამსახურებულადაც გაიმარჯვა ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში.

თამაზ ხარაბაძე.
(ტელეფონით „ლელოს“ კორ.).

ამ დღეს წარმატებას მიაღწიეს საქართველოს სხვა გუნდებმაც. ბათუმის დინამოელებმა დონის როსტოვში ანგარიშით 3:2 დაამარცხეს ადგილობრივ არმიელთა გუნდი, ხოლო ლანჩხუთის „გურიამ“ ლვოვში ქულა აიღო ასკ-„კარპატისთან“. შეხვედრაში — 1:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 3:0, ცსკა — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:0, „დაუგავა“ (რიგა) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 3:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	12	9	1	2	34-9	19
„ნისტრუ“	12	7	1	4	14-13	15
„კაირატი“	12	6	3	3	22-12	15
„ნეფთჩი“	11	5	5	1	14-10	15
„ფახთ.“	12	5	4	3	17-8	14
„დინ.“ სტ.	11	3	8	0	12-7	14
„მეტალ.“	11	6	1	4	17-11	13
„კოტაიკი“	11	5	3	3	14-5	13
„დინ.“ ბ.	12	5	3	4	10-17	13
„გურია“	10	4	4	2	13-8	12
„სპარტ.“	11	4	4	3	12-12	12
„ტორპ.“	10	5	1	4	15-15	11
„ტავრია“	11	4	3	4	16-19	11
„ფაკელი“	11	3	5	3	7-7	11
„ყუბანი“	12	4	2	6	13-24	10
„გეოლოგი“	10	4	1	5	11-12	9
„შინიკი“	11	3	3	5	10-20	9
„როსტს.“	11	2	5	4	8-11	9
„ასკ“	11	3	1	7	18-20	7
„კუზბასი“	12	1	5	6	4-12	7
ასკ „კარპ.“	12	0	5	7	10-22	5
„დაუგავა“	12	0	4	8	5-22	4

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, XII ტურის შეხვედრები: „ნარტი“ (ჩერკესკი) — „ყარაბი“ (გოიაზანი) 2:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „დილა“ (გორი) 2:1, „ტორპედო“ (ვოლგსკი) — „ყარაბაღი“ (აგდამი) 1:0, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „ქიაფაზი“ (ციროვაბადი) 3:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) 3:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 2:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ტერმისტი“ (ბაქო) 2:0, ომც (თბილისი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 მაისისთვის

	თ	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ ს.	9	8	0	1	23-7	16
„ლოკომ.“ ს.	11	7	2	2	18-7	16
„კოლხეთი“ ფ.	11	7	1	3	16-7	15
„მეტალ.“	12	5	5	2	15-9	15
„ტექსტილ.“	11	6	2	3	18-8	14
„ხაზარი“ ს.	10	6	2	2	18-9	14
„დილა“	11	6	2	3	15-13	14
„ტორპედო“	11	6	1	4	15-9	13
„ნარტი“	11	6	1	4	13-9	13
„გოიაზანი“	11	5	2	4	13-14	12
„დინ.“ მახ.	11	3	4	4	20-15	10
„კოლხეთი“ ხ.	10	3	4	3	15-15	10
„ყარაბაღი“	9	4	1	4	8-13	9
„ტერმისტი“	11	3	3	5	8-16	9
„ხაზარი“ ლ.	11	4	0	7	7-18	8
„ქიაფაზი“	11	3	2	6	17-21	8
„მერცხალი“	11	3	2	6	15-20	8
„ლოკ.“ მ. წყ.	11	2	4	5	13-16	8
„ატომმაში“	10	3	1	6	12-17	7
„ზვეზდა“	10	2	2	6	14-25	6
„შევარდენი“	10	2	1	7	9-18	5
ომც თბ.	12	2	1	9	15-29	5

სუმგაითის „ხაზარისა“ და სამტრედიის „ლოკომოტივის“ XII ტურის შეხვედრა გაიმართება 20 ივლისს.

სსრ კავშირის ნაკრები ემზადება

ხვალ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ევროპის ზონის III საკვალიფიკაციო ჯგუფის გუნდებს შორის. აბჭოთა ნაკრები მიიღებს ისლანდიის გუნდს.

თამაში დიდ ინტერესს იწვევს, აკმარისია ითქვას, რომ ერთადერთი ქულა საბჭოთა ნაკრებმა შესარჩევი ციკლის მატჩებში სწორედ ისლანდის გუნდთან დაკარგა — 1:1.

საბჭოთა ფეხბურთელებმა მატჩისთვის მზადება 25 მაისს დაიწყეს. ნაკრებს ხელმძღვანელობენ მწვრთნელები ვ. ლობანოვსკი, ი. მოროზოვი, ს. მოსიაგინი, გუნდის უფროსია ნ. სიმონიანი. ფეხბურთელთა შორის არიან ვ. ბესონოვი, ო. ლუჟნი, ო. კუზნეცოვი, გ. ლიტოვჩენკო, ო. პროტასოვი, ი. ბელანოვი („დინამო“, კიევი), დ. ხარინი, ა. უვაროვი, ი. დობროვოლსკი, ა. ბოროდიუკი, ი. კოლივანოვი („დინამო“, მოსკოვი), ს. ალეინიკოვი, ა. ზიგმანტოვიჩი („დინამო“, მინსკი), ვ. კულკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), ი. სავიჩევი („ტორპედო“, მოსკოვი), ს. გორლუკოვიჩი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), ვ. ივანაუსკასი („ჟალგირისი“, ვილნიუსი), გ. კეტაშვილი („დინამო“, თბილისი). უცხოეთის კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები რ. დასაევი, ა. ზავაროვი და ვ. რაცი დღეს ჩამოვლენ მოსკოვში, ტრავმების გამო მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ვ. ხიდიატულინი და ა. მიხაილიჩენკო.

ლიტვის საუკეთესო მოჭადრაკეებს, რომლებიც ვარშავის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ, ხელიდან არ გაუშვიათ შემთხვევა შეხვედროდნენ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტს ფლორენსიო კამპომანესს. მას ასეთი შინაარსის წერილი გადაეცა:

„ლიტვის საჭადრაკო ფედერაცია (ლსფ) მოგმართავთ თხოვნით განაახლოს ფიდეში თავისი საქმიანობა. ამ ორგანიზაციაში ლსფ 1930 წლის 12 აპრილს მიიღეს. ლიტველ მოჭადრაკეთა ნაკრები, როგორც ფიდეს წევრი, 6 საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობდა: ჰამბურგში (1930 წ. მე-14 ადგილი), პრაღაში (1931, 13) ფოლკსტონში (1933,7), ვარშავაში (1935,14), სტოკჰოლმში 1937,11) და ბუენოს-აირესში (1939,13), მეორე მსოფლიო ომისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ლიტვის შესვლის გამო, ჩვენი რესპუბლიკის საქმიანობა ფიდეში დროებით შეწყდა. ამასთან, ფიდეს შემადგენლობიდან ლსფ ოფიციალურად არ გამოსულა.

ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს ლიტვის სუვერენიტეტის აღდგენის მკაფიო პროცესი. იცვლება საზოგადოებრივი ინსტანციების სტატუსი, აღდგენილია ლიტვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ცალკეული ფედერაციები ოლიმპიურ მოძრაობას უბრუნდებიან. ლსფ მხოლოდ საჭადრაკო საქმიანობისაკენ ისწრაფვის, ჩვენ არ ვცნობთ დისკრიმინაციას ეროვნულ, პოლიტიკურ, რასობრივ, სოციალურ, რელიგიურ თუ სქესობრივ საფუძველზე.

ჩვენი მიზანია ჭადრაკის განვითარება ლიტვაში, შემოქმედებითი მიღწევების გაზიარება სხვა ფედერაციებთან. გვსურს საჭადრაკო ოლიმპიადებში მონაწილეობა, გამომდინარე ფიდეს დებულებიდან.

ამიტომ, პატივცემულო პრეზიდენტო, გთხოვთ აღადგინოთ ლიტვა ფიდეს შემადგენლობაში.

ლიტვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ა. პოვილიუნასი, ლიტვის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე ვ. მაიოროვასი, ლსფ-ის პასუხისმგებელი მდივანი გ. მიშკინისი“.

ვ. მაიოროვასი და გ. მიშკინისი ეწვივნენ ლიტვის ახალგაზრდული გაზეთის „კომიაუნიმო ტესის“ რედაქციის და უპასუხეს კორესპონდენტის შეკითხვებზე.

● როგორი იყო ფიდეს პრეზიდენტ კამპომანესის რეაქცია ლსფ-ის მიმართვაზე?

ვიტალიუს მაიოროვასი: როგორც ჩანს, პრეზიდენტს საკმარისი ინფორმაცია აქვს იმ სოციალური პროცესების შესახებ, რომლებიც ბალტიისპირეთში მიმდინარეობს. ამდენად, ჩვენს განცხადებას იგი არ გაუკვირვებია. იმის თქმაც შეიძლება, რომ იგი კმაყოფილი დარჩა. ედუარდას როზენტალისთან ერთად, რომელიც ახლა ლიტვის უძლიერესი მოჭადრაკეა, პრეზიდენტს ვესაუბრეთ. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ თავის დროზე ლიტვა შევიდა ფიდეს შემადგენლობაში. მაგრამ იქიდან აღარ გამოსულა. იგი დაგვპირდა, რომ უპასუხოდ არ დასტოვებს ლსფ-ის განცხადებას.

კეთილგანწყობილმა პრეზიდენტმა ზოგიერთი ოფიციალური დოკუმენტი გადმოგვცა, გვაცნობა ფიდეს აღმასკომის ყველა წევრის მისამართი. ჩვენ ვიცით, რომ ლსფ-ის დაბრუნება ფიდეს შემადგენლობაში დამოკიდებულია ამ აღმასკომის თითქმის ყველა წევრზე, ამიტომ მათ ამ საკითხზე პირადად, წერილობით მივმართავთ.

გედემინას მიშკინისი: კამპომანესს მეც და დიდოსტატი ვიქტორ გავრიკოვიც ვესაუბრეთ. პრეზიდენტის პასუხი იმედებს გვისახავს. ფიდე დააზუსტებს, ხომ არ გაურიცხავთ ლსფ მისი შემადგენლობიდან დებულების დარღვევისათვის (საწევრო თანხის შეუტანლობა, საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციის განცხადება და სხვ.). გარდა ამისა, ჩვენი განცხადება უნდა წარუდგინონ ფიდეს აღმასკომის სხდომას, რომელიც აგვისტოში გაიმართება პუერტო-რიკოში. იმედს გამოვთქვამთ, რომ ლსფ კვლავ გახდება ფიდეს წევრი.

უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ჩვენ გამოვკითხეთ ლიტველი ვეტერანი მოჭადრაკეები, წინა მსოფლიო ოლიმპიადების მონაწილეები და მათ ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ ლსფ-ს ფიდესთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

● ესე იგი, ჩვენ კვლავ მივიღებთ მონაწილეობას საერთაშორისო ოლიმპიადებში?

ვ. მაიოროვასი: იმედი გვაქვს, ეს უკვე მომავალი წლის შემოდგომაზე, იუგოსლავიის საჭადრაკო ოლიმპიადაზე მოხდება.

● თქვენ, ალბათ, 30 წლისაც არა ხართ, მაგრამ უკვე წარმართავთ ლიტველი მოჭადრაკეების საქმიანობას. რით ხელმძღვანელობდა ლსფ, როცა ასე გადაახალისა პრეზიდიუმი?

ვ. მაიოროვასი: გასული წლის 30 ნოემბერს ლიტველმა მოჭადრაკეებმა პრინციპული შეფასება მისცეს ფედერაციის პრეზიდიუმის საქმიანობას. კონსერვატიზმისა და გულგრილობის გამო ზოგიერთს პრეზიდიუმის წევრობის უფლებაც ჩამოერთვა. ფედერაციის მუშაობა არადამკმაყოფილებლად შეფასდა. ჭადრაკის გულშემატკივრებმა, რომლებიც ლიტვის ყველა კუთხიდან შეიკრიბნენ, აღშფოთება გამოთქვეს ადრინდელი პრეზიდიუმის წევრების მოუქნელი მუშაობის, არაკომპეტენტურობის, აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის სურვილის უქონლობის გამო.

ლიტველი მოჭადრაკეები ფიდე-ს შეგრუნდებიან

წარმოიდგინეთ — ლიტვას აქამდე ერთი საერთაშორისო ტურნირიც არ ჩაუტარებია, ბევრ რაიონში ჩამკვდარია საჭადრაკო სექციების მუშაობა, არ გვყოფნის მწვრთნელები.

● როგორ აპირებთ გადაჭრათ ის საკითხები, რომლებზეც ადრინდელი ფედერაცია არ ზრუნავდა?

ვ. მაიოროვასი: ლიტვის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას მოველაპარაკეთ საჭადრაკო სპეციალიზაციის შემოღებაზე თანობაზე.

გ. მიშკინისი: ჭადრაკი ზოგიერთი საშუალო სკოლის პროგრამაში უნდა ჩავრთოთ, ამას ხომ დიდი თანხები არ სჭირდება. ლოგიკური აზროვნების აპეთი გაკვეთილები საჭირო და სასარგებლოა. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ ლიტვის 44 რაიონიდან თითქმის ნახევარში ჭადრაკში საერთოდ არაფერი კეთდებოდა.

● რით ახსნით იმ ამბავს, რომ ლიტვაში აქამდე არ ტარდებოდა პრესტიჟული საჭადრაკო ტურნირები, ხოლო ჩვენს მოჭადრაკეებს, ვლადას მიკენასის გარდა, აქამდე ვერ მოუპოვებიათ დიდოსტატის წოდება?

ვ. მაიოროვასი: ეს თავისებური კურიოზი გახლავთ. ეტყობა, ჩვენ საბჭოთა კავშირში ერთადერთნი ვართ, რომელთაც ასეთი რანგის ტურნირები არ ჩაგვიტარებია. ამაში დამნაშავე არიან ადრინდელი ფედერაცია და რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბი. ვინ იცის, საითკენ მივექანებოდით, თუმცა, ამას ხაზს ვუსვამ, ძლიერი მოჭადრაკეები საკმაოდ გვყავს. ასე მაგალითად: უკანასკნელი 3_4 წლის მანძილზე საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიპოვეს ედუარდას როზენტალისმა, ვიდმანტას მალიშაუსკასმა, გინტაუტას პეშინამ. მათ საგრძნობლად აიმაღლეს თავიანთი ოსტატობა სოციალისტური ქვეყნების ტურნირებში. რა თქმა უნდა, დიდოსტატის კლასის მიღწევა მხოლოდ ტურნირებში მონაწილეობით შეიძლება.

დღეისათვის რამდენიმე ლიტველ მოჭადრაკეს თამამად შეუძლია დიდოსტატებთან მეტოქეობა და ამ წოდების მოპოვებაც კი. საკითხავი სხვა რამ არის — როგორ უნდა მოხდეს ასეთი საერთაშორისო ტურნირებში?!

გაისად ახალი ფედერაცია აპირებს საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას, რომელიც ვლადას მიკენასის 80 წლისთავს მიეძღვნება, აღვნიშნავთ კაუნასის საჭადრაკო კლუბის 70 წლისთავს.

● როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში პოპულარულია ტურნირები წრიული სისტემით. იგი გაცილებით იაფი ჯდება, მაგრამ მასში, პრაქტიკულად, მხოლოდ რჩეულნი ხვდებიან.

ვ. მაიოროვასი: ცხადია, წრიული სისტემა ჩასატარებლად ადვილია, დიდ თანხებს არ მოითხოვს. რაც! შეეხება საზღვარგარეთს, აქ შვეიცარიული სისტემა სულ უფრო მეტად ვრცელდება. აპეთ ტურნირებში აბორიგენ მოჭადრაკეები მონაწილეობს. ახლახან, საერთოდ, ბერლინში, პოლონეთის ომის შემდგომი პერიოდის უდიდეს ტურნირში, 12 ქვეყნის 140 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ფულად პრემიის 10 პრიზიორი იღებდა. პირველი ადგილის დაკავებისათვის საბჭოთა მჭადრაკემ ს. კალენჩევმა, რომელმაც 8 ქულა მოაგროვა, მილიონი ზლოტი (დაახლოებით 4 ათასი მანეთი) მიიღო. 70 ათასი ზლოტი მიიღო ედუარდას როზენტალისმა — 6 ქულა, მეათე ადგილი.

● თქვენ ახალი ტიპის ფედერაციაზე ლაპარაკობთ. რით განსხვავდება იგი ძველისაგან?

გ. მიშკინისი: ფედერაცია დამოუკიდებელი უნდა იყოს. ყველა საკითხი, რომელიც მოჭადრაკეების წინაშე დადგება, სხვების კარნახის გარეშე უნდა გადაწყდეს. გარდა ამისა, ფედერაცია ხელშეკრულებებს გზით სხვა სპორტულ ორგანიზაციებს უნდა დაუკავშირდეს. ჩვენ ახლა ვადგენთ ფედერაციის წესდებას.

წინა წლების სტატისტიკით, ახლა ლიტვაში 50 ათასზე მეტი მოჭადრაკეა. ეს რიცხვი, თავისთავად, ჯერ არაფერს ნიშნავს. მე მიმაჩნია, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც. უყვართ ჭადრაკი და ფამამობენ მას, სკოლებშიც შეხვდებით, ქარხნებშიც და დაწესებულებებშიც.

● ფედერაცია ლიტველი მოჭადრაკეების საგანგებო ყრილობისთვის თუ ემზადება?

ვ. მაიოროვასი: შესაძლოა, ამ შემთხვევაში ყრილობა ძალზე ხმამაღლაა ნათქვამი, მაგრამ შემოდგომისათვის ჩვენ მართლაც ვაპირებთ ბევრი პრობლემის განხილვას. დავამტკიცებთ ახალი ტიპის ფედერაციის დებულებას და წესდებას, ავირჩევთ საჭადრაკო გამოცემის ხელმძღვანელობას, განვიხილავთ საჭადრაკო სკოლების საქმიანობას. ასეთი დიდი ფორუმების შემდეგ ზოგი ლიტველი საჭადრაკო პროფესიონალის ძნელ გზას გაუდგება.

ლიტვის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი ჭადრაკის საჭიროებისათვის ყოველწლიურად დაახლოებით 50 ათას მანეთს გამოჰყოფს. ეს თითქოს მცირე თანხა არ გახლავთ, მაგრამ, როცა ამ ფულის თვლასა და დაყოფას დაიწყებ... ვფიქრობ, სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შეეძლებთ რა ახალი ტიპის ფედერაციას, შეეძლებთ ჩვენი თანხებიდან დავაჯილდოვოთ საუკეთესო მწვრთნელები, დავასაჩუქროთ საზოგადო მოღვაწეები, დავაარსოთ სპეციალური სტიპენდიები. ფედერაცია, რომელიც სამეურნეო ანგარიშს დაემყარება, საარგებლო იქნება არა მარტო ჭადრაკის მოყვარულთათვის — იგი ფართო შესაძლებლობებს გაუხსნის სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებს.

● მალე გვეყოლება თუ არა ლიტველი დიდოსტატები?

გ. მიშკინისი: მინდა კოლეგის მოსაზრება გავაგრძელო. ჩვენთვის საჭიროა საერთაშორისო ტურნირები. აი, მაგალითად, ესტონელებმა შეძლეს ორი მაღალი კვალიფიკაციის მოჭადრაკის — იაან ელვესტისა და ლემბიტ ოლის აღზრდა. რამდენიმე წლის წინათ კი მათი თამაში ძალის თვალსაზრისით თითქმის არ განსხვავდებოდა მალიშაუსკასის, როზენტალისის, მაიოროვასისა და სხვების თამაშისაგან. უბრალოდ, ესტონელები მეტ უურადღებას უთმობენ მოჭადრაკეების აღზრდას, მეტ ტურნირს მართავენ, გამოცდილებას იღებენ ფინეთისა და სკანდინავიის სხვა ქვეყნების ტურნირებში.





პატარა ბურთის ვნებები

მოზარდთა შეჯიბრებები ვნებათა ღელვითა და განცდათა სიღრმით ზშირად არ ჩამოუვარდება უფროსების შერკინებას. ამგვარი სიტუაციების მოწმე არაერთხელ ვყოფილვართ. ამის დასტურია ჩვენი დღევანდელი ფოტორეპორტაჟიც, რომელიც გვაცნობს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების მაგიდის ჩოგბურთის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის (დირექტორი როზა ბერიკაშვილი) ღია პირველობის (1976-82 წწ. დაბადებულთა შორის) მომენტებს. პატარა ოსტატები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ გამარჯვებისთვის, ზოგიერთი მათგანი კი დამარცხების სიმწარეს ცრემლებით იოხებდა.

შეჯიბრების კულმინაცია იყო უფროსი ასაკობრივი ჯგუფის გოგონათა შეჯიბრების ფინალი, სადაც სამმა მონაწილემ — დიანა შირაბოკოვამ (რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტსკოლა), ნინო დელიბაშვილმა (ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა) და ანჟელა ტადტაევამ (რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტსკოლის სამხრეთ ოსეთის ფილიალი) თანაბარი ქულები დააგროვეს, თანაც ისე, რომ დიანამ ანჟელასთან წააგო და ნინოს მოუგო, ნინომ კი — პირიქით დიანასთან წააგო და ანჟელა დაამარცხა. დამატებით შეხვედრაში ცხინვალელი გოგონა ორივე მეტოქესთან დამარცხდა. გამარჯვების ბედი თბილისელი სპორტსმენების შეხვედრაზე იყო დამოკიდებული. ორი პარტიის შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო. მესამეში ნინო დაწინაურდა (15:13), მაგრამ ნერვებმა უმტყუნა და ხუთი უპასუხო ბურთი მიიღო. (15:16). ამჯერად დიანამ ვერ მოთოკა თავი და თვითონაც ხუთი უპასუხო ბურთი გაუშვა (20:18). ყველაფერი ერთ ბურთს უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ ნინომ ჯერ ინიციატივა დათმო, შემდეგ კი — პარტიაც.

ამ შეხვედრაზე უფრო დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ სპორტსმენის ხასიათის ფორმირება ადრეულ ასაკში ხდება და მწვრთნელებზე ბევრადაა დამოკიდებული, როგორ განავითარებენ შეგირდების საბრძოლო თვისებებს.

სკოლის პირველობაში, რომელმაც ფაქტობრივად ამ ასაკის უძლიერეს ჩოგბურთელებს მოუყარა თავი, ზემოთ დასახელებულთა გარდა მონაწილეობდნენ თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდა კომპლექსური სპორტსკოლის, ბათუმის კომპლექსური სპორტსკოლისა და რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტსკოლის გურჯაანისა და თელავის ფილიალები. სულ 150 მოზარდი.

ჯემალ კახრაძე.

კვარცხლბეკი

უფროსი ასაკი. ვაჟები. 1. ლევან ბურკაძე, 2. გაგი ნოზაძე (ორივე — თბილისი, პროფკავშირები), 3. მიხეილ შიუკაშვილი (თელავი). **გოგოები.** 1. დიანა შირაბოკოვა (თბილისი, პროფკავშირები), 2. ნინო დელიბაშვილი (რკინიგზის სპორტსკოლა), 3. ანჟელა ტადტაევა (ცხინვალი).

უმცროსი ასაკი. ვაჟები. 1. პაატა ბარამაშვილი (თბილისი, პროფკავშირები). 2. რობერტ თავადიანი (ბათუმი), 3. ედუარდ არუბჯიანი (რკინიგზის სპორტსკოლა). **გოგოები.** 1. ვერიკო ბარამიძე (ბათუმი), 2. მარიკა კუსრაძე (თბილისი, განათლების სამმართველო), 3. მაია ნოზაძე (თბილისი, პროფკავშირები).

სურათებზე (მარცხნიდან): დიანა შირაბოკოვა, ვერიკო ბარამიძე, პაატა ბარამაშვილი და ლევან ბურკაძე; შეჯიბრების მომენტები.

ავტორის ფოტოები.



ნ. ღუდუშაური

რაგბის ავტორიტეტი დიდია ჩვენს რესპუბლიკაში. სპორტის ამ სახეობას პოპულარობა იმთავითვე თვით მორაგბეებმა მოუტანეს — ბალანსებთან ვალებებით, გამარჯვებისთვის თავდადებით. ეს ტრადიცია თაობიდან თაობაში გადადის. თავის თაობის მორაგბეთა მსგავსად, ნუგზარ ღუდუშაური უმაღლეს სასწავლებელში გაიტაცა ამ თამაშმა.

მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი სასწავლებლის სპორტულ ღირსებას იცავს, პირველ წარმატებას ამ გუნდში მიაღწია, პირველი სიხარული აქ განიცადა — საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის ტიტული მოიპოვა. მაშინდელი დიდი ნატვრაც მალე აუხდა — თბილისის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ჩაირიცხა. ისეთ ამპლუაში თამაშობდა, ყოველწამიერი თავგანწირვა და ჭიდილი რომ სჭირდება — შერკინებაში, იქ, სადაც საერთო წარმატებას, ლელოს გატანას ეყრება საფუძველი. 1980 წელს „ლოკომოტივის“ ახალგაზრდული გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ეს წარმატება მოიტანა იმ მონდომებამ და თავდაუზოგაობამ, რომლითაც ასე გამოირჩეოდა ნუგზარ ღუდუშაური.

დიდი ხანი არ არის, რაც უმაღლეს ლიგას ჩამოშორდა და პროფესიით დაიწყო მუშაობა. რაგბის მაინც ვერ შეელია. ისევ ტრიალებდა მორაგბეთა წრეში, სადაც ჰყავდა უამრავი მეგობარი, პატივისმცემელი და დამფასებელი, ისინი, ვის ხსოვნაშიც არასოდეს წაიშლება ნუგზარ ღუდუშაურის ნათელი სახე.

რაგბის რესპუბლიკური ფედერაცია

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები: „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:3, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:2, „სქურა“ (წალენჯიხა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0, „ოვერია“ (ხაშური) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:0.

„სპორტლოტო“

28 მაისს გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი 23-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 9 (ბაგზატკეცილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 21 (ცურვა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 37 (აკრობატიკა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 17 (ციგურებით სრიალი), 29 (ბასტენდო სროლა), 30 (ძალოსნობა).

• • •

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა „სპორტლოტოს“ 21-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 1989 წლის 21 მაისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.652.550 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (28) მოგება 2.508 მანეთია, 4 ნომრისთვის (1.527) — 48 მანეთი, 3 ნომრისთვის (34.781) — 3 მანეთი.

საქართველოში: 6—0, 5—0, 4—29, 3—810.

„სპორტლოტო 5 36“-დან. ტირაჟში დაშვებულია 17.785.356 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (23) მოგება 10.000 მანეთია. 4 ნომრისთვის (6.167) — 132 მანეთი, 3 ნომრისთვის (180.137) — 9. მანეთი.

საქართველოში: 5—1 (ზუგდიდი), 4—175, 3—4513.

სსრ კავშირის პირველობა რაგბიში

თბილისის გუნდებმა წარუმატებლად განვლეს მომქანცველი 15-დღიანი ტურნე, რომლის დროსაც სტუმრად 6-6 თამაში გამართეს. ბოლო ოთხ ტურში ასკ ზედიზედ დამარცხდა იელგავის „რაფთან“ (0:20), შაულიაის „ვაირასთან“ (0:9). ლვოვის „სოკოლთან“ (3:18) და ხარკოვის ხტზ-სთან (12:16). ამავე ქალაქებში იასპარეზა „მიმინომ“, რომლის მონაგარი „ვაირასთან“ ფრედ (11:11) დამთავრებული მატჩით ამოიწურება; დანარჩენი შეხვედრები საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მორაგბეებმა წაგეს: „რაფთან“ (9:15), ხტზ-სთან (0:3), „სოკოლთან“ (14:34).

XI ტურის წინ, რომელშიც 31 მაისს თბილისის გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან, გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

კმი (კიევი)	10	6	4	8	2	0	18
„სოკოლი“	10	6	4	8	2	0	18
„რაფი“	10	6	4	7	0	3	14
ხტზ	10	6	4	6	0	4	12
„ვაირასი“	10	6	4	5	1	4	11
სმი (ნოვკ.)	9	3	6	5	0	4	10
სტმ (კრასნ.)	9	3	6	4	0	5	8
„ელ.“ (ლენ.)	10	6	4	4	0	6	8
„რად.“ (ტაგ.)	10	6	4	3	1	6	7
ასკ (თბ.)	8	2	6	2	1	5	5
„მიმინო“	10	2	8	2	1	7	5
„პრესი“ (დნ.)	10	6	4	0	0	10	0

შაბათს პარიზში, „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე, საფრანგეთის პირველობის ფინალურ შეხვედრაში „ტულუზამ“ დაამარცხა „ტულონი“ (18:12) და მეთერთმეტედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა.

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

ჰოლანდია

34-ე ტური. „ჰარლემი“ — „გრონინგენი“ 2:1, „აიაქსი“ — „ტილბურგი“ 1:0, „ცვოლე“ — „დენ ბოში“ 2:3, „სპარტა“ — „ვენლო“ 1:1, „ტვენტე“—„ვოლენდამი“ 3:0, „როდა“ — „ფეიენოორდი“ 3:1, „ვალვიკი“ — „მაასტრიჰტი“ 1:0, „ეინდჰოვენი“ — „უტრეჰტი“ 3:0, „ვეენდამი“ — „სიტარდი“ 1:1.

საბოლოო ცხრილი

„ეინდჰოვენი“	34	78-31	53
„აიაქსი“	34	74-32	50
„ტვენტე“	34	47-25	40

„ეინდჰოვენი“ — ჩემპიონი. ლიგას ტოვებენ: „ცვოლე“, „ვენლო“, „ვეენდამი“.

პორტუგალია

38-ე ტური. „პორტო“ — „სპორტინგი“ 3:0, „ბენფიკა“ — „ბოავიშტა“ 2:2, „ბელენენსეში“ — „პენაფიელი“ 2:1, „ფარენზე“ — „ესპინიო“ 1:3, „ბრაგა“ — „ნასიონალი“ 1:1 , „ბეირა“ — „სეტუბალი“ 0:0, „ფაფე“ — „შავიში“ 2:0, „ლეიქსოეში“ — „ამადორა“ 0:0, „ვისეუ“ — „პორტიმონენსე“ 0:1, „მარიტიმო“ — „გიმარაეში“ 2:0.

საბოლოო ცხრილი

„ბენფიკა“	38	60-15	63
„პორტო“	38	52-17	56
„ბოავიშტა“	38	56-29	49

„ბენფიკა“ — ჩემპიონი. ლიგას ტოვებენ: „ფარენზე“, „ლეიქსოეში“, „ვისეუ“.

შვეიცარია

მე-9 ტური. „იანგ ბოისი“ — „გრასჰოპერსი“ 2:0, „ბელინცონა“ — „ლუცერნი“ 0:0, „სიონი“ — „ქაამაქსი“ 2:2, „ვეტინგენი“ — „სერვეტი“ 6:2.

„ლუცერნი“	9	13-10	25
„გრასჰოპერსი“	9	10-13	24
„სიონი“	9	16-10	24

საერთაშორისო ფეხბურთი:
ფედერაციი,
ცხრილები

პოლონეთი

25-ე ტური. „ოლიმპია“ — „ვისლა“ 3:0, „ლეგია“ — „რუხი“ 0:0, „შომბერკი“ — „ბიალისტოკი“ 0:1, „კატოვიცე“ — „ლოძი“ 7:2, „გურნიკი“ — „სტალი“ 1:0, „ვალბრჟიხი“ — „ლენი“ 1:0, „ვიძევი“ — „შჩეცინი“ 1:0, „სლასკი“ — „იასტებიე“ 6:1.

„გურნიკი“	25	44-20	40
„კატოვიცე“	25	43-19	40
„რუხი“	25	35-15	40

ესპანეთი

33-ე ტური. „სევილია“ — „სარაგოსა“ 0:1, „ატლეტიკო“ — „რეალი“ 3:3, „ოვიედო“ — „ვალენსია“ 0:0, „ელჩე“— „ოსასუნა“ 0:1, „ეპანიოლი“ — „ხიხონი“ 2:1, „კადისი“ — „ბეტისი“ 4:0, „ბილბაო“ — „ვალიადოლიდი“ 2:0, „ვიგო“ — „ძურსია“ 0:0, „მალაგა“ — „სან სებასტიანი“ 1:0, „ლოგრონიესი“ — „ბარსელონა“ 0:2.

„რეალი“	33	77-34	53
„ბარსელონა“	32	64-22	49
„ვალენსია“	33	32-23	42

იტალია

29-ე ტური. „ბოლონია“ — „ინტერი“ 0:6, „ნაპოლი“ — „ტორინო“ 4:1, „ატალანტა“ — „სამპდორია“ 1:0, „ლაციო“ — „ფიორენტინა“ 1:0, „ლეჩე“ — „პესკარა“ 1:1, „მილანი“ — „ჩეზენა“ 0:0, „პიზა“ — „კომო“ 3:1, „ვერონა“ — „ასკოლი“ 0:1, „იუვენტუსი“ — „რომა“ 2:1.

„ინტერი“	29	56-13	50
„ნაპოლი“	29	54-23	43
„მილანი“	29	45-21	37

გფრ

30-ე ტური. „ბაიერნი“ — „სენტ პაული“ 2:1, „ჰამბურგი“ — „შტუტგარტი“ 2:1, „კაიზერსლაუტერნი“ —„კარლსრუე“ 1:2, „ლევერკუზენი“ — „ფრანკფურტი“ 2:2, „მონჰენგლადბახი“ — „ბოხუმი“ 2:0, „დორტმუნდი“ — „იურდინგენი“ 4:2, „ჰანოვერი“ — „კიოლნი“ 2:2, „კიკერსი“ — „მანჰეიმი“ 1:3, „ვერდერი“ — „ნიურნბერგი“ 2:1.

„ბაიერნი“	30	53-23	44
„კიოლნი“	30	52-23	42
„ჰამბურგი“	30	54-34	38

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10375